



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
 GEORGIA
 MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34.342211829

თარიღი:28/04/2022

„მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით შენიშვნების და რეკომენდაციების მომზადების მიზნით, შეიქმნას **„მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმღები კომისია“** შემდეგი შემადგენლობით:

ა)კომისიის თავმჯდომარე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ნუგზარ ხუხუნაიშვილი;**

ბ)კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **რევაზ ელოშვილი;** კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.

გ)კომისიის მდივანი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **თინათინ მელიქიძე.** კომისიის მდივანი ორგანიზებას უწევს სხდომის ჩატარებას და უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას. კომისიის მდივანი არ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დ)კომისიის წევრები:

დ.ა)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ეთერი გელაშვილი;**

დ.ბ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- **მერაბ თუხარელი;**

დ.გ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ნუგზარ იმერლიშვილი;**

დ.დ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი- **ლევან ელიაშვილი** (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი);

დ.ე) კონსულტანტი სივრცითი მოწყობის და მშენებლობის საკითხებში - **ზურაბ აბესაძე** (შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებული პირი);

2. კომისიის საქმიანობაში ხმის უფლებით მონაწილეობას იღებს - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, იმ ადმინისტრაციული ერთეულიდან/მაჟორიტარული ოლქიდან, სადაც მოხდება განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება.

3. შენიშვნები და რეკომენდაციები აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელიც წარედგინება მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის #ს-1026 ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

